



შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“

ტირიფონის ჰიდროელექტროსადგურის ტერიტორიაზე
განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე

სკრინინგის ანგარიში

გენერალური დირექტორი:



დავით ჭანტურია

2023 წ.

სარჩევი:

1	შესავალი	4
2	მიმდინარე საქმიანობის აღწერა.....	7
2.1	ჰქსის კუთვნილი ჰიდროტექნიკური ნაგებობების დახასიათება	7
2.2	ძალური კვანძი.....	8
2.3	საწარმოს მუშაობის რეჟიმი და პერსონალი	11
2.4	წყალმომარაგება.....	11
2.5	ჩამდინარე წყლები	12
2.6	ნარჩენები	12
3	დაგეგმილი ცვლილებების აღწერა	13
3.1	ზოგადი ინფორმაცია	13
3.2	მზის მოდულები.....	15
3.3	მართვის კარადა.....	16
3.4	ინვერტორი	16
3.5	საკაბელო ხაზები	17
3.6	მონიტორინგის სისტემა	18
4	საქმიანობის განხორციელების ადგილის დახასიათება	19
4.1	გეოგრაფიული მახასიათებლები.....	19
4.2	კლიმატური მახასიათებელი.....	19
4.3	საინჟინრო კვლევის მონაცემები.....	20
5	შეფასების კრიტერიუმები.....	21
5.1	საქმიანობის მახასიათებლები:.....	21
5.1.1	საქმიანობის მასშტაბი, არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება:.....	21
5.1.2	ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება:	22
5.1.3	ნარჩენების წარმოქმნა:.....	22
5.1.4	გარემოს დაბინძურება და ხმაური:	23
5.1.5	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი: 24	
5.2	დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:.....	26
5.2.1	ქარბტენიან ტერიტორიასთან:	26
5.2.2	შავი ზღვის სანაპირო ზოლთან:	26
5.2.3	ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები:	26
5.2.4	დაცულ ტერიტორიებთან:.....	26

5.2.5	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან:.....	26
5.2.6	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან:	27
5.3	საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:	27
5.3.1	ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი:.....	27
5.3.2	ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა:	27
6	მოკლე რეზიუმე.....	27
7	დანართები:.....	29
7.1	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება	29
7.2	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია.....	31
7.3	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 66.52.01.093.....	33
7.4	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 66.52.01.094.....	35
7.5	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 66.52.01.095.....	37
7.6	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი	39
7.7	გენერალური გეგმა 1	42
7.8	გენერალური გეგმა 2.....	43

1 შესავალი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“-ს კუთვნილი, ტირიფონის ჰიდროელექტროსადგურის ტერიტორიაზე განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებების სკრინინგის განაცხადის დანართს.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს თანახმად, მზის ელექტროსადგურის მშენებლობა არ მიეკუთვნება იმ საქმიანობას, რომელსაც სჭირდება სკრინინგის პროცედურების გავლა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ტირიფონი ჰესზე საქმიანობის განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 იანვრის N 2-16 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, კომპანიამ მიზანშეწონილად ჩათვალა სამინისტროსთვის წარედგინა ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის - მიწისზედა ფოტოელექტრონული მზის ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ტირიფონ ჰესზე საქმიანობის განხორციელების მიზნით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში შემუშავდა 2011 წელს. მისი შემუშავების დროს ობიექტი გაჩერებული იყო, არ ფუნქციონირებდა და განახლების მიზნით საჭიროებდა რეაბილიტაციას, რომელიც განხორციელდა 2012 – 2016 წლებში. ობიექტის რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად. მხოლოდ სააკუმულატორო ოთახისა და ზეთების საწყობის მოწყობასთან მიმართებაში შეცვალა კომპანიამ გადაწყვეტილება და გზშ-ს ანგარიშში მითითებული ღონისძიებები უფრო თანამედროვე და გაუმჯობესებული ტექნიკითა ჩაანაცვლა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს მიერ 2021 წლის ოქტომბრის თვეში ჩატარებული შემოწმებისას, კომპანიის მოცემული ქმედება შეფასდა, როგორც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობის დარღვევა, რაზეც 2021 წლის 22 ნოემბერს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი (*იხ. დანართი*).

მიწისზედა ფოტოელექტრონული მზის ელექტროსადგურის მშენებლობისთვის, კომპანიამ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით 66.52.01.022, დაყო სამ ნაკვეთად (საკადასტრო კოდები: 66.52.01.093, 66.52.01.094, 66.52.01.095 (*იხ. დანართები*)). კომპანიის გადაწყვეტილებით 66.52.01.094 და 66.52.01.095 მიწის ნაკვეთებზე განთავსდება მზის მოდულები და მისი სათანადო ინფრასტრუქტურა, ხოლო 66.52.01.093 მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია ჰესის სრული ინფრასტრუქტურა, დარჩება მისი ექსპლუატაციისთვის.

66.52.01.094 და 66.52.01.095 საკადასტრო კოდების საზღვრებში შემოფარგლული ის ტერიტორიები, სადაც უნდა დამონტაჟდეს მზის მოდულები, წარმოადგენენ ტირიფონი ჰესისთვის ფაქტიურად გამოუყენებელ და თავისუფალ მიწის ნაკვეთებს. შესაბამისად, ახალი ობიექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესი ზემოქმედებას არ იქონიებს არსებული ჰესის ექსპლუატაციის რეჟიმზე. მზის ელექტროსადგურის ინფრასტრუქტურა განლაგდება

ისე, რომ არანაირი კავშირი არ ექნება ტერიფონი ჰესის ინფრასტრუქტურასთან და იქნება ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ობიექტი.



მზის ელექტროსადგურის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის მიწოდება მოხდება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კუთვნილ ქვესადგურზე. ამისთვის საჭირო სამუშაოებს უზრუნველყოფს ხსენებული კომპანია. მიწის ნაკვეთი 66.52.01.095 და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კუთვნილი „110/35/10/6 ტერიფონის ქვესადგური“ ერთმანეთის მოსაზღვრედ არიან განთავსებულები და გამიჯნულნი არიან ლითონის ღობით.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმილი ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სამუშაოები არ ითვალისწინებენ სკრინინგის პროცედურების გავლას, რადგან „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სკრინინგს ექვემდებარება „35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა“, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია მხოლოდ 0,4 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების მოწყობა.

ტირიფონი ჰესის განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სკემა



ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

კომპანიის სრული სახელწოდება: შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“

სამართლებრივი ფორმა: შპს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება)

იურიდიული მისამართი: 0177, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გაზაფხულის ქ. 18

ტელ: +995 32 2210332;

რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 7/11/2005; 36/4-126

საიდენტიფიკაციო ნომერი: 230866783

ტელ. (ქალაქის): +995 32 2210187;

ელ-ფოსტა: giec@giec.ge

ვებ-გვერდი: <http://www.giec.ge>;

კომპანიის გენერალური დირექტორი: დავით ჭანტურია

2 მიმდინარე საქმიანობის აღწერა

2.1 ჰესის კუთვნილი ჰიდროტექნიკური ნაგებობების დახასიათება

ტირიფონის ჰესი აშენდა 1948 - 1951 წლებში და მშენებლობის დასრულებისთანავე შევიდა ექსპლუატაციაში. მისი დადგმული სიმძლავრეა 3,2 მგტ.

ჰესი აგებულია ტირიფონის სარწყავი არხის მე-19 კმ-ზე, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვეშში. ქ. გორიდან 27 კმ მანძილის დაშორებით. ჰესის კუთვნილი ტერიტორიის საერთო ფართობი 2,6 ჰა-ს შეადგენს.

ტირიფონი ჰესის ძირითადი ჰიდროტექნიკური ნაგებობები:

- სადერივაციო სისტემა;
- სადაწნეო აუზი;
- სადაწნეო მილსადენები;
- უქმი წყალსაგდები;
- გამყვანი არხი.

სათავე ნაგებობა მდებარეობს ტირიფონის სარწყავი არხის მე-19 კმ-ზე. ტირიფონის სარწყავი არხი, 1929 წლიდან ემსახურება ტირიფონის ვაკეზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მელიორაციას. იგი იწყება ქალაქ ცხინვალის სამხრეთით მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე. მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და გადაკვეთს მდინარეებს პატარა ლიახვს, აძურას, ჭარებულას და თავდება სოფ. პატარა ხურვალეთის მახლობლად მდ. კირბალულასთან. სიგრძე - 42 კმ. წყლის საპროექტო ხარჯი - 14 მ³/წმ. ჰესის არხში წყლის საშუალო ხარჯი დაახლოებით 9-10 მ³-ია. არხი შპს "საქართველოს მელიორაცია" მფლობელობაშია.

ტირიფონის არხზე და სადაწნეო აუზზე არსებული ჩამკეტი ფარების რეგულირების საშუალებით ხდება სადაწნეო მილსადენში წყლის გადასვლა. სადაწნეო აუზზე ჩამკეტი ფარების შემდგომ მოწყობილი დამჭერი გისოსები უზრუნველყოფს არხის ჩამონატანის (ძირითადად მცენარეული ნატანი და საყოფაცხოვრებო ნარჩენები) დაჭერას, რათა არ მოხდეს მათი სადაწნეო მილსადენებში მოხვედრა და ჰესის აგრეგატების მუშაობის შეფერხება. სადაწნეო აუზისა და ჰესის შენობას შორის სიმაღლეთა სხვაობა 67 მ-ია.

სადაწნეო აუზის ნაგავდამჭერი გისოსებიდან იწყება ორი მიწისზედა ლითონის სადაწნეო მილსადენი. მილსადენების სიგრძე 390 მ-ია, ხოლო დიამეტრი - 1200 მმ. მილსადენის გამტარუნარიანობა 3 მ³/წმ-ს შეადგენს (ჯამში 6 მ³/წმ). მილსადენების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

უქმი წყალსაგდების დანიშნულებას წარმოადგენს უქმი წყლის შემოვლითი გზით გატარება ჰესის ზემო ბიეფიდან ქვემო ბიეფში, ჰესის ჰიდროაგრეგატების გვერდის ავლით. არხი ასევე გამოიყენება როდესაც სარემონტო სამუშაოების ან სხვა მიზეზების გამო ტირიფონი ჰესი არ ფუნქციონირებს (მაშინ, როცა სადაწნეო აუზის ჩამკეტი ფარი ნაწილობრივ ან მთლიანად იკეტება) და საჭიროა ჭარბი წყლის არიდება ჰესის შენობისთვის.

უქმი წყალსაგდები წარმოადგენს ბეტონის ღია ტიპის არხს (გამტარუნარიანობით ≈ 5 მ³/წმ), რომლის დასაწყისში მოწყობილია ჩამკეტი ფარი. აღნიშნული ჩამკეტი ფარის, სადაწნეო აუზზე და ტირიფონის სარწყავ არხზე მოწყობილი ჩამკეტი ფარების ერთობლივი რეგულირებით შესაძლებელია წყლის რაოდენობის საჭიროების მიხედვით გადანაწილება სარწყავ არხში, სადაწნეო მილსადენებში ან უქმი წყალსაგდების არხში.

უქმი წყალსაგდები ჰესის გამყვან არხს უერთდება სამანქანო შენობიდან დაახლოებით 70 მ-ში, რის შემდგომ წყალი მიედინება მდ. დიდი ლიახვის მიმართულლებით.

2.2 ძალური კვანძი

ძალური კვანძის შემადგენლობაში შემავალი ნაგებობები განლაგებულია შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციას“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. ტერიტორია დაცულია და შემოღობილია მავთულბადის ღობით.

ძალური კვანძის შემადგენლობაში შედის:

- ჰესის შენობა;
- ღია ქვესადგური;
- ზეთის მეურნეობა;
- საყარაულო და სხვა დამხმარე ნაგებობები.

ჰესის შენობა წარმოადგენს აგურით ნაშენებ ორიარუსიან შენობას. შენობაში განთავსებულია სამანქანო დარბაზი, მართვის ფარი, 6/10 კვტ გამანაწილებელი, სააკუმულატორო კარადა და სხვა დამხმარე სათავსები.

ჰესის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს კუთვნილი 110/35/10/6 ტირიფონის ქვესადგური.

სადაწნეო მილსადენები მიერთებულია სამანქანო დარბაზში არსებულ, ავსტრალიური წარმოების, JM-VOITH-ის მოდელის ორ ჰიდროტურბინაზე. თითოეული ტურბინის სიმძლავრეა 1600 კვტ (ჯამში 3.2 მგვტ.) თითოეული ტურბინის წინ მოწყობილია დისკური საკეტი, დიამეტრით 1200 მმ. აგრეგატებში გამოიყენება ТП-30 ტიპის ტურბინის ზეთი. თითოეულ ტურბინაში ჩადის 350 ლ. ზეთი.

ტურბინების გაგრილება ხდება ტირიფონის სარწყავი არხის წყლით, კონკრეტულად კი - სადაწნეო მილსადენებიდან. ტურბინების გაგრილებისთვის გამოყენებული წყალი, ჰესის ნამუშევარ წყალთან ერთად ჩაედინება გამყვან არხში.

სამანქანო დარბაზში ასევე განლაგებულია CI-2000-600 ტიპის ორი გენერატორი, თითოეული 1600 კვტ სიმძლავრით. ორივე გენერატორზე დგას მექანიკური აღზნების სისტემა.

მართვის ფარი და დაცვის პანელი განთავსებულია ჰესის შენობის მე-2 იარუსზე. აღნიშნული სისტემა, რომელიც აღჭურვილია ხმოვანი და მანათობელი სიგნალიზაციით, უზრუნველყოფს ჰესის უსაფრთხო ფუნქციონირებას და ელექტროგანაწილებას, ასახავს სამანქანო შენობაში ელექტრო და ჰიდრო დანადგარების ტექნიკურ მდგომარეობას.

6/10 კვტ გამანაწილებელი მოწყობილობა, განთავსებულია შენობის მეორე იარუსზე ცალკე გამოყოფილ ოთახში.

რაც შეეხება **საკუმულატორო ოთახს**, გზშ-ს ანგარიშის მიხედვით, მეორე იარუსზე ცალკე გამოყოფილ ოთახში დაგეგმილი იყო გარკვეული სახის კოსმეტიკური სამუშაოების ჩატარება: იატაკის მოპირკეთება სამშენებლო ფილებით, კედლების შეღებვა, ოთახის აღჭურვა შესაბამისი ვენტილაციისა და გათბობის სისტემით, რათა გამორიცხულიყო პერსონალის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება.

უნდა აღინიშნოს, რომ გზშ-ს ანგარიშის მომზადების პერიოდში საკუმულატორო ოთახში აკუმულატორები და მათი დამმუხვტველი მოწყობილობა განთავსებული არ ყოფილა. პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ადმინისტრაცია გეგმავდა ჰესის აღჭურვას 55 ცალი მჟავა ტიპის აკუმულატორებით. თითო აკუმულატორის მუდმივი ძაბვა უნდა ყოფილიყო 2 ვ, საერთო ძაბვა კი – 110 ვ.

ობიექტის რეაბილიტაციის პროცესში ჰესის ადმინისტრაციამ პრიორიტეტი მიანიჭა უფრო თანამედროვე ტიპის აკუმულატორებს და ნაცვლად მჟავა ტიპისა, შეიძინა და დაამონტაჟა ჟელეიანი აკუმულატორები, რომელსაც პირველისგან განსხვავებით არ სჭირდება რაიმე ტიპის დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიებების. ჰესის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება ითვლება გარემოს დაცვის მნიშვნელოვან ღონისძიებად შემდეგ გარემოებათა გამო:

ისეთი ტიპის აკუმულატორებს, როგორცაა მჟავა აკუმულატორები, მისი შემადგენლობიდან გამომდინარე, სჭირდებათ ექსპლუატაციის განსაკუთრებული პირობების შექმნა, როგორც ტექნიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, ისე ადამიანის ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის მიმართულებით.

რაც შეეხება ჟელეიან აკუმულატორებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ არანაირი განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომების გატარება და ექსპლუატაციის პირობების შექმნა არ სჭირდებათ, რადგან აკუმულატორებში განთავსებული ჟელე, თავისი მახასიათებლებიდან გამომდინარე სრულიად უსაფრთხოა:

- ჟელეს, მჟავასგან განსხვავებით არ აქვს სპეციფიკური სუნი, რომელიც აკუმულატორების დამუხტვის პროცესში გამოიყოფა და მავნე ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, რის გამოც იმ სივრცეს, სადაც მათი განთავსება ხდება მუდმივად სჭირდება განიავება.
- ჟელე, მჟავის მსგავსად არ იწვევს მოწყობილობის კოროზიას, რამაც ტექნიკური უსაფრთხოების კუთხით შესაძლოა გარკვეული პრობლემები შექმნას, კერძოდ: დააზიანოს აკუმულატორის კორპუსი, რასაც მოჰყვება მჟავა სითხის ამოფრქვევა ან დაღვრა, აღნიშნულმა კი შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ასევე გარემოს დაბინძურება. ჟელე ადამიანის სხეულზე მოხვედრის შემთხვევაშიც არანაირ პრობლემებს არ შექმნის.
- ჟელეიან აკუმულატორს მომსახურება თითქმის არ სჭირდება და ითვლება როგორც „არამომსახურებად“ მოწყობილობად, მაშინ როცა მჟავა აკუმულატორებს მუდმივად

სჭირდება მომსახურება და მეთვალყურეობა, მასში არსებული სითხის დამატება, დოზირების კონტროლი და სხვა.

ჟელეიანი აკუმულატორები, მცირე მოცულობის გამო, კომპაქტურადაა მოთავსებული სპეციალურად მისთვის განკუთვნილ ლითონის კარადაში, რომელიც განთავსებულია მართვის ფარისთვის განკუთვნილ სივრცეში.



აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ობიექტზე განთავსებული 9 ერთეული 12 ვოლტიანი აკუმულატორი იგივე ფუნქციას ასრულებენ რაც უნდა შეესრულებინათ 55 ერთეულ 2 ვოლტიან მჟავა ტიპის აკუმულატორებს. **შესაბამისად, ამ კუთხით შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჰესის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით რაიმე მნიშვნელოვანი პირობის შეცვლას ადგილი არ ჰქონია.**

ჰესის შენობიდან იწყება ღია ტიპის, პრაქტიკული პროფილის არხი, რომლის დანიშნულებაცაა ჰესის ნამუშევარი წყლის გაყვანა. როგორც აღინიშნა, ჰესის შენობიდან დაახლოებით 70 მ-ში მას უერთდება უქმი წყალსაგდები, რომლის დანიშნულებაცაა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მელიორაცია წარმოადგენს. არხი უკავშირდება მდ. დიდ ლიახვს, ტირიფონი ჰესიდან დაახლოებით $\approx 6-7$ კმ-ში.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ზეთი გამოიყენება ჰესის ჰიდროაგრეგატებში და ღია ქვესადგურის ტრანსფორმატორებში.

ჰიდროაგრეგატებში გამოიყენება TII-30 ტიპის ზეთი. ზეთის შემოტანა ხდება 200 ლ ტევადობის ლითონის კასრებით. სატრანსფორმატორო ზეთების შემოტანა ხდება საჭიროებისამებრ.

გზშ-ს ანგარიშში, პერსონალის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მითითებულია, რომ ჰესის ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ, **ზეთის საწყობად** გამოყენებული უნდა ყოფილიყო ჰესის შენობის გვერდით არსებული ერთსართულიანი

შენობა. ამავე შენობაში მოხდებოდა ჰესის ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვადასხვა მასალების და გამოყენებული ზეთის დროებითი შენახვა.

გამომდინარე იქიდან, რომ გზშ-ს ანგარიშში მითითებული შენობა ძალიან დაზიანებული იყო და მისი აღდგენა-რეაბილიტაცია შეუძლებელი იყო, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება და კონტენერის ტიპის, ლითონის კონსტრუქციის მყარ ნაგებობაში მოაწყო **ზეთსაცავი**. კონსტრუქციის სიდიდიდან გამომდინარე, მოხდა მისი გადატიხვრა და მოეწყო ინდივიდუალური შესასვლელები. მის ერთ ნახევარში, როგორც აღვნიშნეთ, მოეწყო, ზეთსაცავი, ხოლო მეორე ნახევარში - სახიფათო ნარჩენების დროებითი შესანახი სათავსო. ორივე ობიექტი აკმაყოფილებს მაღალი სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა პირობას. კერძოდ, მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციები, ხელსაბანები, ტრაპები (რომლებიც დაერთებულია საერთო მიწისქვეშა წყალშემკრებ ავზზე) და სტელაჟები. შესასვლელ კარებებზე მოწყობილია სარკმელი ბუნებრივი განიავებისთვის. ორივე ობიექტზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაქრი, ქვიშა) და უზრუნველყოფილი არიან სათანადო მარკირებით.

სამანქანო შენობის გვერდით მოწყობილია 35/6 კვ **ღია ქვესადგური**. მისი ტერიტორიის საერთო ფართობი დაახლოებით 4000 მ²-ს შეადგენს. ტერიტორია შემოღობილია ლითონის მესერით.

ქვესადგურის ტერიტორიაზე განთავსებულია:

- №1 და №2 გენერატორის ტრანსფორმატორები. თითოეული სიმძლავრით – 1800 კვა, ძაბვა – 35/6 კვ, ზეთის ტევადობა – 3100 კგ. მოწყობილია ბეტონის საძირკვლებზე;
- საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი. სიმძლავრით - 180 კვა, ძაბვა - 35/04 კვ, ზეთის ტევადობა - 400 კგ. მოწყობილია ბეტონის საძირკველზე;
- ვაკუუმური ტიპის 3 ერთეული ამომრთველი.

ქვესადგურის პერიმეტრზე განთავსებულია მეხამრიდები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ტრანსფორმატორების ქვეშ მოწყობილია ღორღის ბალიშები, აღდგენილია და გამართულად ფუნქციონირებს ავარიულად დაღვრის ზეთშემკრები სისტემა. ასევე მოწესრიგებულია მიწისქვეშა საკაბელო მეურნეობა, რომელიც გადახურული ბეტონის ფილებით;

2.3 საწარმოს მუშაობის რეჟიმი და პერსონალი

ჰესი მუშაობს 24 საათიან რეჟიმში. სხვადასხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებიდან გამომდინარე (სარემონტო სამუშაოები, წყლის უკმარისობა) წლის განმავლობაში ჰესი მუშაობს დაახლოებით 330 დღე.

ტექნიკურ პერსონალთან ერთად, ობიექტის უსაფრთხოებას მუდმივად უზრუნველყოფს დაცვის 2 თანამშრომელი.

2.4 წყალმომარაგება

ენერგეტიკული დანიშნულების გარდა ობიექტზე წყლის გამოყენება ხდება აგრეგატების გამაგრებულ სისტემაში და სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით.

ჰესის გამაგრებულ სისტემისათვის საჭირო წყლის მიახლოებითი ხარჯი 500-600 ათას მ³-ს შეადგენს. გამაგრებულ სისტემისთვის წყლის მიწოდება ხდება სადაწნეო ნაგებობიდან.

სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის გამოიყენება ადგილობრივი ჭაბურღილის წყალი, რაზეც კომპანია ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას (იხ.დანართი).

სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყლის ხარჯი იანგარიშება სამშენებლო ნორმებისა და წესების „შენობების შიდა წყალსადენი და კანალიზაცია“ – СНиП 2.04.01-85 მიხედვით და ერთ მომუშავეზე 8 საათის განმავლობაში შეადგენს 45 ლ-ს, ხოლო ადმინისტრაციულ თანამშრომელზე – 12 ლ-ს. თითო ცვლაში მომსახურე პერსონალის რაოდენობის და მათი სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, დღე-ღამის განმავლობაში სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის მაქსიმალური ხარჯი იქნება:

$$(6 \times 45 \times 3) + (2 \text{ ადმინისტრაციის თანამშრომელი} \times 12 \text{ ლ} \times 3) = 810 + 72 = 882 \text{ ლ. (0,882 მ}^3\text{);}$$
$$\text{წელიწადში} - 882 \text{ ლ} \times 330 \text{ დღე} = 291\,060 \text{ ლ (291 მ}^3\text{)}.$$

2.5 ჩამდინარე წყლები

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების რაოდენობის გაანგარიშება ხდება გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის 5%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით და შეადგენს:

$$291 \times 0,95 = 276,5 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვებისთვის ტერიტორიაზე მოწყობილია საასენიზაციო ორმო, რომელიც პერიოდულად იწმინდება საასენიზაციო მანქანების საშუალებით.

ჰესის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყალი ჩაედინება ჰესი ქვედა ბიეფში (გამყვან არხში).

2.6 ნარჩენები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰესის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების (ზეთით დასვრილი ჩვრები, აბსორბენტები, ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის მიზნით მოწყობილია სპეციალური სათავსო, რომელიც ზეთსაცავისგან გამიჯნულია ტიხრით.

სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის უბანი მოწყობილია კონტეინერის ტიპის, ლითონის კონსტრუქციის მყარ ნაგებობაში. ობიექტი აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

კომპანიას გააჩნია „სახიფათო ნარჩენების მართვის გეგმა“, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

3 დაგეგმილი ცვლილებების აღწერა

3.1 ზოგადი ინფორმაცია

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და სოციალური განვითარება ენერგომომარაგების მოთხოვნის გაზრდასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ელექტროენერჯის გამომუშავების აუცილებლობა ქვეყნის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

მზის ენერჯიდან ელექტროენერჯის წარმოებას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე. მზის ენერჯიდან ელექტროენერჯის წარმოების ძირითადი პოზიტიური გავლენა გარემოზე არის მისი არაპირდაპირი შედეგი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხდება ელექტროენერჯის ტრადიციული წარმოების სახეობების ჩანაცვლება, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ გარემოს (მაგალითად, ნავთობზე და ნახშირზე დაფუძნებული ელექტროენერჯის წარმოება). ელექტროენერჯის წარმოების ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით მზის ენერჯია არის სუფთა და მდგრადი (პრაქტიკულად ამოუწურავი რესურსი).

როგორც აღინიშნა, ელექტროენერჯის მომარაგების გაზრდის მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეში 66.52.01.094 და 66.52.01.095 მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილია 1000 კვტ მზის ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც მიწის ნაკვეთების მიხედვით პირობითად დაყოფილია ორ სადგურად, კერძოდ, 66.52.01.094 მიწის ნაკვეთზე მოეწყობა "სახმელეთო ფოტოელექტრული მზის ელექტროსადგური "ტირიფონი-1", ხოლო 66.52.01.095 მიწის ნაკვეთზე - "სახმელეთო ფოტოელექტრული მზის ელექტროსადგური "ტირიფონი-2".

პროექტის ადგილმდებარეობა შეირჩა მისი კლიმატური, ტოპოგრაფიული და ზოგადი ფიზიკური გარემოს შეფასებით.

პროექტი ითვალისწინებს 2264 ერთეული RSM110-8-45M ტიპის Risen-ის ფირმის მზის მოდულისა და 12 ერთეული Huawei-ს მიერ წარმოებული SUN2000-00KTL ტიპის ინვერტორების დამონტაჟებას.


"სახმელეთო ფოტოელექტრული მზის ელექტროსადგური "ტირიფონი-1"-ზე დაგეგმილია 1114 ერთეული მზის მოდულები და 5 ერთეული ინვენტორის განთავსება.



"სახმელეთო ფოტოელექტრული მზის ელექტროსადგური "ტირიფონი-2"-ზე დაგეგმილია 1150 ერთეული მზის მოდულისა და 7 ერთეული სხვადასხვა სიმძლავრის ინვენტორის განთავსება.



ელექტროენერჯის გენერირებას უზრუნველყოფენ ინვერტორები და მზის ცალკეული მოდულები, რომლებიც თანმიმდევრულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მზის ყველა მოდული იყოფა ჯგუფებად, საიდანაც მიღებული მუდმივი ელექტროენერჯია რადიალური ქსელის მეშვეობით გროვდება ინვერტორებში. ეს კონფიგურაცია უზრუნველყოფს მზის მოდულების ოპტიმალურ კოორდინირებულ მუშაობას ინვერტორთან.



პროექტის არქიტექტურულ-სამშენებლო გადაწყვეტილებებით დაგეგმილია ფოტოელექტრო მოდულების სამაგრების ლითონის კონსტრუქციების, ინვერტორებისა და მართვის კარადის განთავსება.

ფოტოელექტრო მოდულების სამაგრების ლითონის კონსტრუქციების ფუნდამენტად გამოყენებული იქნება მიწაში ჩაბეტონებული სადგამები, რომელთა დაბეტონებაც მოხდება 1 მ სიღრმეზე. მაგიდის ჰორიზონტალური დაზრის კუთხე იქნება 30°. მზის ელექტრო მოდულები განთავსდება მიწის პირიდან 0,5 მ სიმაღლეზე.

საპროექტო გადაწყვეტილებით დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

- მზის მოდულების, ინვერტორების, მართვის კარადის განთავსება სამშენებლო უბნის ტერიტორიაზე, მაღალი სიმძლავრის ფოტოელექტრული ელექტროსადგურების ტექნოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით;
- დამიწების კონტურებისა და მეხამრიდების მოწყობილობა;
- ელექტროენერჯის გენერაციის ტექნოლოგიური პროცესის სხვადასხვა მოწყობილებებს შორის საკაბელო ქსელის ორგანიზება.

პროექტით გათვალისწინებულია თანამედროვე აღჭურვილობის გამოყენება, რომელსაც ექნება მინიმალური დანაკარგები ყველა დასამონტაჟებელ მოწყობილობაში.

3.2 მზის მოდულები

მზის მოდულებით წარმოებული მუდმივი ელექტრო ენერჯია მიეწოდება ინვერტორებს, სადაც ის გარდაიქმნება ცვლად ელექტრო ენერჯიად 0,4 კვ ძაბვით, რომელიც შემდგომ მიეწოდება მართვის კარადს.


როგორც აღინიშნა, მზის ენერჯის მუდმივ ელექტრო ენერჯიად გარდაქმნისთვის პროექტი ითვალისწინებს მზის მოდულების დამონტაჟებას. მოდულის შემადგენლობაში შედის კაბელების დამაკავშირებელი ყუთი, რომელიც სრულად ინტეგრირებულია მის კონსტრუქციაში. თითოეულ ყუთს აქვს ორი სადენიანი კაბელი, რომლებიც ჩართულია პლუს და მინუს ტერმინალებით სწრაფი გადართვისა და არასწორი კავშირის თავიდან ასაცილებლად. თითოეული მოდული ჩასმულია ალუმინის ჩარჩოში და შემდეგ მექანიკურად დაფიქსირებულია ლითონის ჩარჩოზე. მოდულები დამზადებულია პოლიკრისტალური სილიკონის გამოყენებით.



3.3 მართვის კარადა

მართვის კარადა ასრულებს ინვერტორების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის შემაჯამებელ/შემკრებ ფუნქციას. მართვის კარადა უზრუნველყოფს სისტემის დაცვას ჭარბი დენისა და მოკლე ჩართვისგან. ინვერტორების დაცვისთვის მართვის კარადაში დამონტაჟებულია ავტომატური ამომრთველები ნომინალური ძაბვით 200 ა.

გარდა დამცავი ფუნქციებისა, მართვის კარადაში დამონტაჟებული ამომრთველები საშუალებას გაძლევთ ქსელიდან გამოირთოს ნებისმიერი ინვერტორი ტექნიკური ან სარემონტო სამუშაოების შესრულებისას.



3.4 ინვერტორი

ფოტოელექტრული მოდულების მიერ წარმოებულ მუდმივ ძაბვას, ინვერტორი გარდაქმნის ცვალებად სამფაზიან სინუსოიდულ დენად. ინვერტორი ფუნქციონირებს მხოლოდ მაშინ,

როცა არის ცვლადი ძაბვა, რომელიც სტანდარტების შესაბამისად უნდა იყოს ფიქსირებულ საზღვრებში. როცა ცდება დასაშვებ საზღვრებს იგი ითიშება, ქრება.

ინვენტორის მუშაობას მართავენ მიკროპროცესორები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამომავალი სინოსოიდური დენს, მინიმალური ხარვეზებით და ფაზის ძაბვის სინქრონიზებით. ეს გამოყენებული ლოგიკური კონტროლი უზრუნველყოფს ინვენტორის ავტომატიზირებულ ფუნქციონირებას მთელ მზის ელექტროსადგურზე, ასევე მისი მაქსიმალური სიმძლავრის მუდმივ კონტროლს და დანაკარგების შემცირებას სამუშაო რეჟიმში დღე-ღამის იმ დროს, როდესაც არ არის მზის გამოსხივება.



ამ ობიექტზე ენერჯის ხარჯების შემცირება მიიღწევა მაღალეფექტური ინვერტორების გამოყენებით, რომლებსაც აქვთ 99% ეფექტურობა და მოიხმარენ 1 კტ-ზე ნაკლებ ელექტროენერჯიას ღამით.

3.5 საკაბელო ხაზები

შერჩეული კაბელები შემოწმებულია და გათვალისწინებულია ხანგრძლივ ექსპლუატაციაზე და მოკლე ჩართვების თერმულ გამძლეობაზე. საკაბელო კვეთები ისე შეირჩა, რომ დენის დანაკარგები არ აღემატებოდეს 5%-ს. ინვერტორების და საკონტროლო კაბინეტის სამონტაჟო ადგილები შეირჩევა ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს დანაკარგების მინიმუმაცია.

კაბელის ერთი ლითონის კონსტრუქციიდან მეორეზე გადაყვანისას აუცილებელია კაბელის დაცვა მზის პირდაპირი სხივებისგან, ამისთვის, კაბელები განთავსდება 50 მმ დიამეტრის პლასტმასის მილში.

0.4 კვ ალუმინის კაბელები ინვერტორებიდან მართვის კარადამდე, მთელ სიგრძეზე ჩაწყობილი იქნება მიწისქვეშ, რომლებიც, მექანიკური დაზიანებისგან დაცვის მიზნით, განთავსდება ორმაგი გარსით დაფარულ მილებში.

კაბელების გასწვრივ ჩაიდება მაფრთხილებელი ლენტა. საკაბელო ხაზები დაფარული იქნება წვრილი ფრაქციის ქვიშით, რომლებიც განთავსდება 0,7 მ სიღრმე, გზების კვეთაზე - 1 მ.

3.6 მონიტორინგის სისტემა

მონიტორინგისთვის საჭიროა:

- მზის ფოტოელექტრო სადგურის მიერ გენერირებული ენერჯის შეფასება;
- მონაცემების (მაბვა, დენი, სიხშირე) შეფასება;
- გამოთვლილი მონაცემების შეფასება - ელექტროენერჯია, სიმძლავრე, სიმძლავრის კოეფიციენტი;
- ელექტროსადგურის ეფექტურობის შეფასება და პროგნოზირება - მონაცემთა არქივირება;
- ანგარიშგება ელექტროსადგურის მდგომარეობის შესახებ - გრაფიკები, მოვლენების ჟურნალი, გაფრთხილების სისტემა;

ობიექტზე გათვალისწინებულია მონაცემთა შეგროვებისა და გადაცემის ავტომატური სისტემის მოწყობა ხელმისაწვდომი ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის ადჰურვილობის გამოყენებით, ასევე უმაღლესი დონის მონაცემთა დისპეჩერის გამოყენება.

გადაცემული და დამუშავებული მონაცემების ვიზუალიზაცია გათვალისწინებულია ავტომატიზირებულად, პერსონალური კომპიუტერის ბაზაზე.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ინვერტორებს შორის კომუნიკაციას არსებული ცვლადი ელექტრო ქსელის გამოყენებით. ქსელის ეს რეჟიმი არ საჭიროებს დამატებითი კომუნიკაციის გაყვანილობას, რაც შესაბამისად ამცირებს მშენებლობისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს და აუმჯობესებს კავშირის საიმედოობას და ეფექტურობას.

ინვერტორებიდან მონაცემების შეგროვება ხდება ინტეგრირებული **SmartLogger3000A მართვის ბლოგის მეშვეობით**, რომელიც განთავდება მართვის კარადაში. მზის ფოტოელექტრო სადგურის ტერიტორიაზე დამატებითი კაბელების გაყვანა საჭირო არ არის.

SmartLogger3000A



4 საქმიანობის განხორციელების ადგილის დახასიათება

4.1 გეოგრაფიული მახასიათებლები

გორის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, შიდა ქართლის მხარეში. მისი ადმინისტრაციული ცენტრია გორი. მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთიდან ესაზღვრება კასპს, დასავლეთიდან ქარელს, სამხრეთიდან ბორჯომსა და წალკას, ჩრდილოეთიდან კი ცხინვალის რეგიონს.

გორის მუნიციპალიტეტი შედგება 23 ტერიტორიული ერთეულისაგან. ტერიტორიაზე ოთხი ძირითადი მორფოლოგიური ერთეულია: გორის ვაკე, შუამდინარე მტკვრის ხეობა, კვერნაკის ქედი, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთი კალთა. გორის ტერიტორიას კვეთს მდინარე მტკვარი, რომელსაც მდინარეები ლიახვი და ტანა უერთდებიან. სხვა მდინარეებთან კი უნდა აღინიშნოს - პატარა ლიახვი, მეჯუდა და თეძამი.

ადგილი, სადაც უნდა განთავსდეს მიწისზედა ფოტოელექტრული მზის ელექტროსადგური, მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვეშის საზღვრებში.

4.2 კლიმატური მახასიათებელი

გორის მუნიციპალიტეტში ზაფხული ძირითადად თბილი და მზიანია, ზამთარი კი ძალიან ცივი, თოვლიანი და ნაწილობრივ მოღრუბლული. წლის განმავლობაში ტემპერატურა ჩვეულებრივ მერყეობს -3°C -დან 30°C -მდე და იშვიათად -9°C -ზე და 35°C -ზე ზემოთ.

ცხელი სეზონი გრძელდება 3,2 თვე, 8 ივნისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით, საშუალო დღიური მაღალი ტემპერატურით 24°C -ზე მეტი. გორში წლის ყველაზე ცხელი თვე აგვისტოა, საშუალო ტემპერატურა 29°C , ხოლო მინიმალური 18°C .

ცივი სეზონი გრძელდება 3,7 თვე, 22 ნოემბრიდან 11 მარტამდე, საშუალო დღიური მაღალი ტემპერატურა 9°C -ზე დაბალია. გორში წლის ყველაზე ცივი თვეა იანვარი, საშუალო მინიმალური -3°C და მაქსიმალური 4°C .

ღრუბლიანობის საშუალო პროცენტი განიცდის მნიშვნელოვან სეზონურ ცვლილებებს მთელი წლის განმავლობაში. წელიწადის უფრო მზიანი ნაწილი იწყება დაახლოებით 11 ივნისს და გრძელდება 3,6 თვე და მთავრდება დაახლოებით 28 სექტემბერს.

წლის ყველაზე მზიანი თვეა აგვისტო. ამ დროს ცა უმეტესად, 90%-ში მოწმენდილი ან ნაწილობრივ მოღრუბლულია. წლის ღრუბლიანი ნაწილი იწყება დაახლოებით 28 სექტემბერს და გრძელდება 8,4 თვე, მთავრდება დაახლოებით 11 ივნისს. წლის ყველაზე მოღრუბლული თვეა აპრილი, რომლის დროსაც ცა საშუალოდ მოღრუბლულია ან უმეტესად მოღრუბლული დროის 53%.

გორში წვიმიანი დღეების რაოდენობა მთელი წლის განმავლობაში ცვალებადია. ყველაზე ნოტიო სეზონი გრძელდება 2,8 თვე, 12 აპრილიდან 5 ივლისამდე, წვიმიანი დღის 23%-ზე

მეტი ალბათობით. გორში ყველაზე წვიმიანი თვეა ივნისი, საშუალოდ 9,2 დღე, არანაკლებ 0,01 სმ ნალექით.

საშუალო დღიური მოკლეტალღოვანი მზის ენერგია განიცდის ძლიერ სეზონურ რყევებს მთელი წლის განმავლობაში.

4.3 საინჟინრო კვლევის მონაცემები

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებულია შპს „T.T.Company“-ის მიერ. ტექნიკური დასკვნის მიხედვით, ადგილზე გამოვლინდა 1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, - ყავისფერი თიხნარი, მყარი.

ნიადაგის ძირითადი ფიზიკური და მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები:

- მოცულობითი სიმკვრივე $p=1,87$ გ/სმ³;
- ნომინალური გათვლილი წინააღმდეგობა $R_0=2,43$ კგ/სმ³;
- ხახუნის კუთხე $B=19,50$;
- გადაბმა $C=0,25$ კგ/სმ²;
- დეფორმაციის მოდული $E=190$ კგ/სმ²;
- დამუშავების სირთულის ქულა $p-33/გ$, III კატეგორია.

ნიადაგების ფენა 40-50 სმ-მდე დაფარულია კენჭებითა და ხრემით, ხოლო 5% -მდე სხვადასხვა ზომის ქვიშის შიგთავსით.

საკვლევ ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა რაიმე სახის საფრთხის შემცველი გეოტექნიკური პროცესები. მიწისქვეშა წყლები არ შეინიშნება 4,0 მ-მდე სიღრმეში.

ვინაიდან გავრცელებული ნიადაგები სეისმური მახასიათებლების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას, საკვლევ ტერიტორიის სეისმურობა იქნება 8 ბალი.

საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტის 1 ნიადაგები გამოყენებული უნდა იყოს მზის მოდულების საყრდენების ასაგებად.

სამთო და გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ტერიტორია, რომელშიც მზის მოდულების საყრდენი უნდა განთავსდეს, მიეკუთვნება I კატეგორიას.

საქართველოს გეომორფოლოგიური ზონირების სქემის მიხედვით საკვლევ ტერიტორია მიეკუთვნება მთათაშორის სინკლინალურ დარს, ტირიფონის ხეობას, ხოლო აკუმულაციური რელიეფი განვითარებულია ალუვიურ-პროლუვიურ დანალექებზე.

ნორმატიული დოკუმენტის „სეისმოდგრადი კონსტრუქცია“ (DN 01.01-09) მიხედვით ეს ტერიტორია განეკუთვნება 8 ბალიან მიწისძვრის ზონას.

საინჟინრო და გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება II კატეგორიას;

გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ტერიტორია, რომელშიც უნდა განთავსდეს მზის მოდულების საყრდენის კონსტრუქცია, მიეკუთვნება I კატეგორიას.

ნალექების საშუალო წლიური რაოდენობაა 518 მმ. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა დღეში 71 მმ-ია. თოვლის საფარით დღეების რაოდენობა - 34. თოვლის საფარის წონა - 0,50 კპა.

5 შეფასების კრიტერიუმები

მოცემული დოკუმენტი შესრულებულია, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, მე-6 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

5.1 საქმიანობის მახასიათებლები:

5.1.1 საქმიანობის მასშტაბი, არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება:

კუმულაციურ ზემოქმედებაში იგულისხმება განსახილველი პროექტის და საკვლევი რეგიონის ფარგლებში სხვა პროექტების (არსებული თუ პერსპექტიული ობიექტების) კომპლექსური ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რაც ქმნის კუმულაციურ ეფექტს.

საკუმულატორო კარადისა და ზეთების საწყობის მოწყობასთან დაკავშირებით კუმულაციური ზემოქმედების განხილვა დღეის მდგომარეობით პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან სამუშაოები უკვე განხორციელებულია.

კუმულაციური ზემოქმედების რისკი დაკავშირებულია 2264 ერთეული RSM110-8-45M ტიპის Risen-ის ფირმის მზის მოდულისა და 12 ერთეული Huawei-ს მიერ წარმოებული SUN2000-00KTL ტიპის ინვერტორების დამონტაჟებასთან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ხმაური და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელება.

დაგეგმილი სამუშაოებისთვის გათვალისწინებული ტერიტორიის მიმდებარედ, ყველაზე უახლოესი ობიექტია - ტირიფონ ჰესი, რაც ზრდის კუმულაციურ ზემოქმედებას ხმაურის მიმართულებით. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ტირიფონ ჰესის ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის დონეები მუდმივად ნორმის ფარგლებშია, ხოლო დაგეგმილი სამუშაოები დროში მნიშვნელოვნად შეზღუდულია, ამასთან, ობიექტებსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის არსებობს ბუნებრივი ეკრანები (მცენარეული საფარი, რელიეფის თავისებურება), რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ხმაურის გავრცელების შესაძლებლობას სენსიტიური ობიექტების მიმართულებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

გარემოს სხვა რეცეპტორებზე სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედების რისკები მოსალოდნელი არ არის.

5.1.2 ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება:

საკუმულატორო კარადის და ზეთების საწყობის მოწყობის პროცესში ბუნებრივი რესურსების გამოყენებას ადგილი არ ჰქონია. არც მზის ელექტროსადგურის მოწყობა ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას.

წყლის გამოყენება საჭირო იქნება მხოლოდ ბეტონის ნარევის დასამზადებლად, რომლის შემოტანაც მოხდება სხვა იურიდიული პირების საწარმოებიდან, ხელშეკრულების საფუძველზე.

ამდენად, ბუნებრივ რესურსებზე ზემოქმედაბა ფაქტიურად არ არსებობს.

5.1.3 ნარჩენების წარმოქმნა:

საკუმულატორო კარადის და ზეთების საწყობის მოწყობის პროცესში ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ჰქონია, რადგან სააკუმულატორო კარადა და ზეთების საწყობისთვის განკუთვნილი კონტეინერი გამზადებული სახით შემოიტანეს და განათავსეს. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნის და მართვის საკითხს, კომპანია აღნიშნულს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული „ნარჩენების მართვის გეგმის“ შესაბამისად.

მზის მოდულებისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის სამონტაჟო სამუშაოების დროს სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას პრაქტიკულად ადგილი არ ექნება, რადგან დაგეგმილია მზა კონსტრუქციების შემოტანა. ასევე არ იქნება გამოყენებული შედეგების აპარატები, რადგან კონსტრუქციების აწყობა მოხდება წინასწარ გამზადებული მარტივი მექანიზმებით.

მზის ელექტროსადგურის მშენებლობის დროს გარემოზე ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებულია მიწის სამუშაოებთან. მზის მოდულების საყრდენების დასამონტაჟებლად დაგეგმილია 20410 კვ.მ ფართობის ტერიტორიის მოსწორება და არსებული ზოგიერთი ხე-მცენარის მოჭრა. სამონტაჟო სამუშაოების დროს ადგილი ექნება მხოლოდ ინეტრული, მცენარეული და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნას. სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი მიწა, როგორც ინერტული ნარჩენი, გამოყენებული იქნება ამოვსებითი ღონისძიებებისთვის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად, ხოლო საყოფაცხოვრებო და მცენარეული ნარჩენები გატანილი იქნება ტერიტორიიდან შესაბამისი სამსახურის მიერ.

სამონტაჟო სამუშაოების დროს, სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა შესაძლებელია ვივარაუდოდ მძიმე ტექნიკის მუშაოების პროცესში, ნავთობპროდუქტების ავარიულად დაღვრის შემთხვევაში. ნავთობპროდუქტების დაღვრის შედეგად დაბინძურებული ნიადაგი მოიხსნება, დროებით დასაწყობდება და შესაბამისი მართვისთვის გადაეცემა შპს „სანიტარს“, „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილების შესაბამისად.

რას შეეხება საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტის ექსპლუატაცია მოხდება სრულად ავტომატიზირებულად. ადგილზე იქნება მხოლოდ 2 დაცვის თანამშრომელი. შესაბამისად ადგილი ექნება საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნას, რომელიც შეგროვდება და გადაეცემა უფლებამოსილ სამსახურს, ხელშეკრულების საფუძველზე.

